ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№4-1/ე 1179-19

"08" 07 2019 წ.

დადგენილება №000615
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

08.07.2019წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2019 წლის 20 მაისის №000615 მითითება და 2019 წლის 17 ივნისის №000615 შემოწმების აქტი შედგენილი, შ.პ.ს. "ფლექსი დეველოპმენტი"-ს (ს.კ. №405085937; მის.: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, სართული 13) მიმართ, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ხიზაბავრის ქუჩა №1-ში, №01.11.12.018.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შ.პ.ს. "ფლექსი დეველოპმენტი"-ს მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 02 ივლისის №4044659 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: **„ი-ა" ფასადზე:** -1.10 ნიშნულზე "ზ-ბ" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა და შემცირებულია მოპირკეთება. შეცვლილია შახტის შეფუთვის ნახატი. "ი-ე" მონაკვეთში მოწყობილია დეკორატიული კარნიზი. +23.30 ნიშნულზე დამატებით განთავსებულია სარეკლამო ბანერი. **„1-11" ფასადზე:** -3.00 ნიშნულზე "10-11" მონაკვეთში შეცვლილია ავტოფარეხში შესასვლელი კარის ნახატი. "1" ღერძის გარეთ მოწყობილია შლაგბაუმი. -0.50 ნიშნულზე "2-5" და "7-10" მონაკვეთში ფასადი მოპირკეთებულია ქვით. "5-7" მონაკვეთში მოწყობილია საყვავილეები. ±0.00 ნიშნულზე "3-9" მონაკვეთში მინის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია მეტალის. +3.30 ნიშნულზე "3-4" და "8-9" მონაკვეთში, +22.20 ნიშნულზე "2-5" მონაკვეთში, +25.35 ნიშნულზე "2-5" და "7-10" და +28.50 ნიშნულზე "7-10" მონაკვეთში მოწყობილია საჩრდილობლები. +15.90 ნიშნულზე "10" ღერძთან მოწყობილია კონდენციონერი. +23.30 და +26.45 ნიშნულზე "2-5" და "7-10" მონაკვეთში ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია შედარებით მცირე ზომის ვიტრაჟები.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

„გეგმის მიხედვით": -0.90 ნიშნულზე "6" ღერძზე მდებარე ინვალიდის ამწეზე გაზრდილია სიგანე. -0.50 ნიშნულზე ღიობებში ნაწილობრივ მოწყობილია შუაკედლისები და გისოსები. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია სადარბაზოში შესასვლელი კარების ნახატი. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები, გამწოვი მილები და ხვრელები. აივნებზე გაუქმებულია საყვავილეები.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2019 წლის 20 მაისს შედგა №000615 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადა ობიექტის შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2019 წლის 17 ივნისს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, შედგა №000615 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2019 წლის 04 ივლისს, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "ფლექსი დეველოპმენტი"-ს წარმომადგენელი გიორგი ქისიშვილი (პირადი №08001007150; მინდობილობა FD/07/2019-1, რეგ. 03.07.2019წ.), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება და განაცხადა, რომ ეთანხმებიან მითითებაში დაფიქსირებულ დარღვევებს და ჯარიმის საფუძველზე აპირებენ პროექტის კორექტირებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის, 2019 წლის 08 ივლისს, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინდა, რომ შ.პ.ს. "ფლექსი დეველოპმენტი"-ს მიერ, არ იქნა შესრულებული მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 20 მაისის №000615 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "ფლექსი დეველოპმენტი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ხიზაბავრის ქუჩა №1-ში, №01.11.12.018.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შ.პ.ს. "ფლექსი დეველოპმენტი"-ს მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 02 ივლისის №4044659 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ფლექსი დეველოპმენტი" დაჯარიმდეს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ხიზაბავრის ქუჩა №1-ში, №01.11.12.018.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) მშენებლობისათვის.

2. შ.პ.ს. "ფლექსი დეველოპმენტი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:**

ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. "ფლექსი დეველოპმენტი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, „დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დამრღვევს დაერიცხება საურავი დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი

საგადახდო დავალება No 3461

Transfer Order No 3461

ვალუტირების თარიღი/Value Date: 19/07/2019 რეფერენსი/Reference: 8203525327

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator შპს ფილიალი დეველოპმენტი	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) GE09BG0000000005553000GEL	თანხა/Amount 15 000.00 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank სს "საქართველოს ბანკი"	ბანკის კოდი/Bank Code BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name შპს ფილიალი დეველოპმენტი	საგადასახადო კოდი/Number Taxpayer 405085937	
მიმღების დასახელება/Recipient ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (აკრძალვები და სპორტები) არჩატვებულ-საბიუჯეტო საქმიანობიდან	ანგარიში, ხაზინის კოდი/Acc.Treasure Code 300773263	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
მიმღების ბანკი/Recipient Bank სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი/Bank Code TRESGE22	გადარიცხვა ბანკის მიერ/Implemented by the Bank 19/07/2019
გადახდის დანიშნულება/Description დადგენილება #000615 სამშენებლო სანართალდარღვევის საქმეზე-ჯარიმა		ხელმოწერა/Signature:
დამატებითი ინფორმაცია/Additional Info დადგენილება #000615 სამშენებლო სანართალდარღვევის საქმეზე-ჯარიმა		შენიშვნა: ააა. საქართველოს ბანკი J.S.C. "BANK OF GEORGIA" ელექტრონულად დაბეჭდილია PRINTED FROM INTERNET BANK
ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature: ბეჭედი:		
მთ. ბუღალტრის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:		ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 3461

Transfer Order No 3461

ვალუტირების თარიღი/Value Date: 19/07/2019 რეფერენსი/Reference: 8203525327

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator შპს ფილიალი დეველოპმენტი	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) GE09BG0000000005553000GEL	თანხა/Amount 15 000.00 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank სს "საქართველოს ბანკი"	ბანკის კოდი/Bank Code BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name შპს ფილიალი დეველოპმენტი	საგადასახადო კოდი/Number Taxpayer 405085937	
მიმღების დასახელება/Recipient ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (აკრძალვები და სპორტები) არჩატვებულ-საბიუჯეტო საქმიანობიდან	ანგარიში, ხაზინის კოდი/Acc.Treasure Code 300773263	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
მიმღების ბანკი/Recipient Bank სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი/Bank Code TRESGE22	გადარიცხვა ბანკის მიერ/Implemented by the Bank 19/07/2019
გადახდის დანიშნულება/Description დადგენილება #000615 სამშენებლო სანართალდარღვევის საქმეზე-ჯარიმა		ხელმოწერა/Signature:
დამატებითი ინფორმაცია/Additional Info დადგენილება #000615 სამშენებლო სანართალდარღვევის საქმეზე-ჯარიმა		შენიშვნა: ააა. საქართველოს ბანკი J.S.C. "BANK OF GEORGIA" ელექტრონულად დაბეჭდილია PRINTED FROM INTERNET BANK
ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature: ბეჭედი:		
მთ. ბუღალტრის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:		ვალუტირების თარიღი/Value Date: